ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N39/გ

ქ. მცხეთა 05 აპრილი 2023 წელი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“. თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დიმიტრი ზურაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ჯორჯიან მიკროსისტემი", წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ერთი თანამშრომლისთვის, (სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელისთვის ნუგზარი ხუხუნაიშვილი) საკანონმდებლო გზა კოდექსის 2007 R 3-ის ინფორმაციული განახლება. **(CPV72300000).**

2. მომსახურების შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების შესრულების ვადაა 2023 წლის 05 აპრილიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
2.2 მომსახურების ყოველთვიური ღირებულება ერთ მომხმარებელზე - 40.00 ლარი
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა - 360.00 (სამას სამოცი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 გაუწიოს მომსახურეობა კოდექსი 2007 R3-ის ყოველკვირეული ინფორმაციული განახლებით;
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყოდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის აიტის სპეციალისტი ლაშა ჩანადირი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამოქალაქო მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2024 წლის 01 მარტის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

შპს "ჯორჯიან მიკროსისტემი"
ს/კ 202268517
ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE40PC0293600100008969
მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116;
დიდუბე პლაზა, ოფისი 406
ელ. ფოსტა: mtenderi@yahoo.com
ტელ: 599 54 98 57
ელ.ფოსტა: datobol@yahoo.com

დირექტორი
არჩილ მაისურაძე

Georgian Microsystems LTD
Digitally signed by Georgian Microsystems LTD
Date: 2023.04.05 12:16:25 +04'00'

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ **236099789**
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა /ნ GE24NB 0330 1002 0016 5022

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

მუნიციპალიტეტის მერი

დიმიტრი ზურაბიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი *დიმიტრი ზურაბიშვილი*